

899.962-1-03  
2-43

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
კორნელი კაპელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

მაია დავითის ასული მაჭავარიანი


გრიბოლ ნაზიანზელის თხზულებათა  
დაცით ფგმელის უფლებით თარგმანები

10.01.01 ქართული დიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი  
1999



ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილებაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
კანდიდატი  
ქართველი ბეჭარაშვილი  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი  
თამილა მგალობლიშვილი  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი  
ედიშერ ჭელიძე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
კანდიდატი  
მანანა მაჩინელი  
შოთა რუსთაველის სახელობის  
ლიტერატურის ინსტიტუტი

ექსპერტი

ოფიციალური ოპონენტები

წამყვანი ორგანიზაცია


დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის "28" დეკემბერს "13" საათზე კორნელი კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებული სამეცნიერო-სასტესტაციო საბჭოს (P 10-11. C №8) სხდომაზე კორნელი კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში 380093, მ.ალექსიძის ქუჩა 3.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კორნელი კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მ.ალექსიძის ქ.3)

ავტორულერატი დაიგზაუნა 1999 წლის "26" ნოემბერს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული  
მდივანი, ფილოლოგის  
მეცნიერებათა დოქტორი

ნ. მერი ქ. ქვირი ნ. მელიქიშვილი



## ნაშრომის ზოგადი დახსასიათება

თემის აქტუალობა. გრიგოლ ლეონისმეტყველის თხზულებათა ქართული კორპუსის ჩამოყალიბება X-XI სს.-ში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული კულტურისა და აზროვნების ისტორიაში. ეს თარგმანები საქურადღებოა როგორც ქართული სასულიერო მწერლობისა და საქართველოში მიმდინარე კულტურული პროცესების, ქართულ ბიზანტიური ლიტერატურულ ურთიერთობათა კელლეგისათვის, ასევე ბიზანტიური ლიტერატურის მრავალი საკითხის გასარკვევად, გრიგოლ ნაზიანზელის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად.

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა დაცვით ტბელისეული თარგმანების შესწავლა წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორ ხდებოდა X-XI სს.-ში გრიგოლის თხზულებათა ქართული კორპუსის ჩამოყალიბება.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების ბერძენული კრიტიკული ტექსტები ჯერჯერიბით გამოქვენებული არ არის. ეს გაპირობებულია იმ გარემოებით, რომ გრიგოლ ლეონისმეტყველის თხზულებათა შემცველი ბერძნული ხელნაწერები მეტად მრავალრიცხოვანია და მათში წარმოდგენილი ტექსტური ტრადიციებიც საქართვისად მრავალუროვნია. გრიგოლის თხზულებათა სრული კორპუსის რამდენიმე ხელნაწერის მიხედვით შემუშავებული ტექსტები გამოქვეყნებულია მინის Patriologia Greaca-ს 35-ე, 36-ე და 37-ე ტომებში. ცალკეული თხზულებები გამოცემულია ასევე "Sources Chretiennes" სერიითაც, მაგრამ აქაც ბერძნული ტექსტები მომზადებულია მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერის გათვალისწინებით. ამჟამად ლიტერატურის (ბელგია) კათოლიკური უნივერსიტეტის ბერძნულ/ლათინური ენების კათედრასთან არსებულ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში საერთაშორისო პროგრამით მზადდება გრიგოლის რამდენიმე პომილის აკადემიურად დადგენილი ტექსტი, რომლებიც გამოქვეყნდება სერიაში "Corpus Christianorum, Series Greaca, Corpus Nazianzenum".

ფილოლოგიურ მეცნიერებაში გრიგოლ ნაზიანზელის დაცვით ტბელისეული თარგმანები შესწავლილი არ იყო. დაცვით ტბელის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი აქვს პ.კაკელიძის "ველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში". მის შესახებ აზრი გამოთქმული აქვთ თ.შორიძინიას, გვარიტს. დღემდე ამის გარდა დაცვით ტბელის შესახებ სხვა არანაირი სამეცნიერო ლიტერატურა არ არსებობდა.

ამჟამად პ.კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი ლიტერატურის (ბელგია) კათოლიკური უნივერსიტეტის მეცნიერებთან თანამშრომლობით მუშაობს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შეკველი ქართული თარგმანების სრულ კორპუსზე, ამზადებს ტექსტებს გამოსაცემად და იკვლევს ამ კორპუსის შემქმნელი მოდგაწევების - ეფთვიმე ათონელის, დაცვით ტბელის, გრიგოლ რშეკველის, ეფრემ მცირის, ბელათურის, სკოლის ანონიმი წარმომადგენლების - მთარგმნელობით მოდგაწეობას. ბელგიაში 1998 წელს გამოქვეყნდა გრიგოლ ნაზიანზელის ლიტერატურული პომილიების ქართული თარგმანების პირველი ტომი